## საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი

საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი არის ევროკავშირის ინსტრუმენტი, რომლის მიზანია ინსტიტუციონალური თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ბენეფიციარი ან პარტნიორი ქვეყნების საჯარო უწყებებს შორის.



აღნიშნულ პროექტს ახორციელებენ: ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო, E-Control; საფრანგეთის ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (CRE) და საბერძნეთის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო (RAE), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობით.



## ევროკავშირი

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს საკუთარი გამოცდილების, რესურსებისა და მომავლის გაერთიანება. ერთობლივი ძალისხმევით, მათ შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა, თუმცა ამავდროულად შეძლეს კულტურული მრავალფეროვნების, ტოლერანტობისა და ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნება. ევროკავშირი მტკიცედ აგრძელებს საკუთარი მიღწევებისა და ფასეულობების სხვა ქვეყნებისა და ერებისათვის გაზიარების პროცესს.

**http://europa.eu**

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე ექსკლუზიურად პასუხისმგებელია ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანო და იგი შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

TWINNING

# საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი - მომსახურების ხარისხი და ჭკვიანი აღრიცხვა საქართველოში

(ENI/2018/403-468)

COMMISSION DE RÉGULATION DE L'ÉNERGIE · PAE RAE · E-CONTROL

## მომსახურების ხარისხი

სემეკის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია როგორც ელექტროენერგიის, ასევე ბუნებრივი გაზის მიწოდების ხარისხი. გასულ წლებში სემეკი აქტიურად აკვირდებოდა კომპანიების მიერ გაწეული მოსახურების დინამიკას.
სემეკმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები რეგულირების განვითარების მიმართულებით და დანერგა მიწოდების მომსახურების სტანდარტები, რომლებიც ითვალისწინებენ კომპენსაციის გადახდას მომხმარებლებისათვის კომპანიების მიერ აღნიშნული სტანდარტების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს მომხმარებლებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას მუდმივ რეჟიმში. რეგულირების ამ სფეროში მიღწეული წარმატების მიუხედავად, სემეკს ესაჭიროება მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის დასასრულებლად როგორც ელექტროენერგეტიკის, ისე ბუნებრივი გაზის სექტორებში.
ენერგიის მიწოდების ხარისხი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ევროკავშირის დახმარებით და საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების გზით, პროექტი ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხისა და მიწოდების საიმედოობის გაუმჯობესებას, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში.



## ფაქტები

**სახელწოდება/მიზანი:** მომსახურების ხარისხის წამახალისებელი რეგულირებისა და ჭკვიანი აღრიცხვის დანერგვის მხარდამჭერი მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავება
**პროექტის ხანგრძლივობა:** 21 თვე
**ბიუჯეტი:** 1.2 მილიონი ევრო

## საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)
ა.მიცკევიჩის ქ. 19
თბილისი, 0194, საქართველო
Tel: +995 32 2420180
Fax: +995 32 2420160



ესტერ შულე
მუდმივი უცხოელი მრჩეველი
eszter.suele@e-control.at

ზვიად გაჩეჩილაძე
მუდმივი უცხოელი მრჩევლის კოლეგა
z.gachachiladze@gnerc.org

ნინო ნიკოლეიშვილი
მუდმივი უცხოელი მრჩევლის ასისტენტი
nino.nikoleishvili@e-control.at

## ჭკვიანი აღრიცხვა




ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის და ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანების შედეგად, საქართველომ აიღო ენერგეტიკულ ბაზართან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება. ევროკავშირის მიზანია გააძლიეროს საბოლოო მომხმარებელთა ცოდნა, რათა ისინი იქცნენ აქტიურ - პროაქტიურ მომხმარებლებადაც კი და თავად მიიღონ მონაწილეობა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებაში.

პროექტის მიზანია მხარდაჭერის გაწევა სემეკისათვის ჭკვიანი აღრიცხვის დანერგვის ხელშემწყობი მარეგულირებელი სტრატეგიისა და მისი ცოდნის ზოგადი გაძლიერების პროცესში, განვითარების პოზიტიური დინამიკის შენარჩუნების მიზნით.